№ 2694
ხუთშაბათი,
9 დეკემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2694
ხუთშაბათი
9 დეკემბერი

[illegible]: წლიწადი—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ეკლ. ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

არჩილ და ნიკიფორე ლუკას ძენი ასათიანები მეუღლითურთ და შელაგია ლუკას ასული მარდანიასი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი და უკანასკნელი—უსაყვარლესის დედისას, ხოლო მეორენი ძვირფასის დედამთილის

ელისაბედ ივანეს ასულის ასათიანისას.

პანაშვიდები ყოველ დღე სად. 7 საათზე. გამოსვენება პარასკევს, 10 დეკემბერს (ავჭალის ქუჩა, ჯალალოვის სახ. № 11) წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და იქიდან კუკიის სასაფლაოზე. (2—402—1)

კნეინა ნინო [illegible]კაციას ასული, თავადნი გიორგი და ლევან იესეს ძე გურიელნი და კნეინა ნადეჟდა დიმიტრის ასული ანდრონიკაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას პირველი—საყვარელ შვილის, დანარჩენნი—დაუვიწყარ ძმის ტვერის დრაგუნთა პოლკის კორნეტის

თავად ვლადიმირ იესეს ძის გურიელისას,

რომელიც გარდაიცვალა 5 დეკემბერს მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. ცხედრის გასვენება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან რკინის გზის სადგურზე, ხოლო იქიდან ქალაქ ოზურგეთს დასაკრძალავად მოხდება ხუთშაბათს, 9 დეკემბერს, წირვის შემდეგ, რომელიც დაიწყება დილის 11 საათზე. 2—402—2)

ქვრივი ფატმან, გლადიმერ და ალექსანდრე იესეს ძენი იოსელიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—ქმრისა, მეორენი—მამის

იესეი ალექსის ძის იოსელიანისას.

დაკრძალვა 9 დეკემბერს სენაკის მაზრის სოფელ სირიაჭყონში. (3—6.—3)

იოსებ და ბარბარე ჭიჭინაძენი და პავლე სარდალის ძე გოცირიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ გარდაცვალებას პირველნი თავიანთის ძვირფასის ასულის, ხოლო უკანასკნელი საყვარელ მეუღლის

ვასასი იოსების ასულის გოცირიძისას

სთხოვენ დაესწრნენ მიცვალებულის გასვენებას დღეს, 9 დეკემბერს, დილის 10 საათზე. მიცვალებულს მიასვენებენ კალოუბნის ეკლესიაში. ადრესი: ტარიელის შესახვევი (Таріельскій пер.) № 90, საკუთარი სახლი. (1—399—1)

ანტონ მიხეილისძე ბიბილური, ნინა და დარო მიხეილის ასულნი, გლადიმერ ეპიფანესძე ხუნდაძენი და ნიკოლოზ მიხეილისძე შენგელია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

მიხეილ დიმიტრის ძის ბიბილურისას,

გასვენება 10 დეკემბერს, დილის 10 საათზე კალოუბნის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა წმ. ნინოს მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. სახლი № 1, პირველ გიმნაზიის ქუჩაზე. (2—397—1)

ხაზინის თეატრი. ანტრეპრიზა სამპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
ხუთშაბათს, 9 დეკემბერს 1904 წელს ქ-ნ პაპაიანის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება „მანონი“ ოპერა 5 მოქ. მასსენესი.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ორელი, ნიკიტსკაია, მიხაილოვა, ხარიტონოვა, ხასლავსკაია; ბ-ნნი: დონსკოი, დემიანენკო, ზალინსკი, ბაგროვი, მურატოვი.
კაპელმეისტერი მილაშევსკი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
10 დეკემ.—„M-lle ფიფი“, „პაიაცები“ და „ბორის გოდუნოვი“. გამგე ი. ა. ქელლერი

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
ექიმნი:
ა. ი. ბადრიაშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
[illegible].—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. ძირონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობ., სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.
მ. ხ. მუხაძიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველდღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
ბ. მ. ხოზოლდევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ და პარასკევობით 1—2 საათამდე.
საღამოთი:
ბ. მ. ხოზოლდევსკი.—ხირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ხ. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ორს სამ მან. საზოგადო ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟევსკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ექიმი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყარაფანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის და ნერვებისა. ყოველდღე საღამოს 5—8 საათამდე.
გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. (30—7)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიული სნით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—17)

კბილის ექიმი
ივანე კ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

კბილის ექიმი
ი. ზ. ქანდელაკი
იღებს ყოველგვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსვამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—9)

ექიმს
იწვევს სოფელი ახალ ქალაქი
პირობების შეტყობა შეიძლება სოფ. ახალქალაქის სამკითხველოში. რკინის გზის სადგური გრაკალი. (6—2)

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხილოვის ქ. № 149, საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
ი. ე. ბამბურიშვილი
გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—21)

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—20)

კბილის ექიმი
ალ. ხოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი მდივნისა № 12. „კრუჟოკის“ გვერდით. (30—6.—31)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
7 დეკემბერი

ტოკიო, 6 დეკემბერი („რეიტ. სააგ.“). პორტ-არტურიდან იტყობინებიან, რომ გემ „პერესვეტ“-ზე წყალი, მოდიდების დროს, სანაღმო აპარატებსა და გემის ბოლოს აფუჭებს. გემი გარიყულია. შუა საკომლეები დაზიანებულია. „პოლტავის“ პალუბასაც სცემს ტალღა; უეჭველია, ეს გემიც გარიყულია. „რეტვიზანი“ „პოლტავა“-ზე უარეს მდგომარეობაშია; იმისი ბოლო ნაწილის პალუბა სულ წყალ ქვეშაა და გადახრილია. „პობედა“-ს ბოლო ნაწილი გადახრილია; ესეც გარიყულია. „ბაიანი“ ძალიან გადახრილია და, როგორც სჩანს, გარიყულია. ოთხ ჯავშნიან გემიდანა და ორივე კრეისერიდან მეზღვაურნი გადასხეს.

ტოკიო, 6 დეკემბერს („რეიტ. სააგ.“). გამოცხადებულია დაწვრილებითი ამბები კიკვანშანზე იერიშის მიტანისა. იაპონელები ჯერ იძულებული გახდნენ უკან დაწეულიყვნენ, რადგან რუსები მედგრად დაუხვდნენ და ტყვიის მტყორცნელები საშინლად დაუშინეს. გენერალი სამეიანა ამხნევებდა იაპონელთ და თანაც ემუქრებოდა, მაშველ ჯარს გამოვიწვევო და ამ რიგად სიმაგრის აღების სახელი წაგერთმევათო. ბოლოს იაპონელებმა მიიტანეს იერიში და სიმაგრე აიღეს. პოზიციის დატოვების დროს რუსებმა ოთხი ნაღმი ააფეთქეს.

მანჯურიის არმიიდან იტყობინებიან, რომ 4 დეკემბერს, საღამოს, რუსებმა სამჯერ მიიტანეს იერიში იაპონელთა მოწინავე რაზმებზე სანტაკუნცზუს ახლო. ნაშუადღევის 1-ლ საათზე რუსებმა ხსინტუნგპუნამდე და ტუნგხაიზეცკოუმდე მიაღწიეს. 5 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, რუსებმა ყუმბარები დაუშინეს იაპონელთა პოზიციებს რკინის გზის ხიდთან მდ. ხუნხეზე.

8 დეკემბერი

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: „საჭიროდ ვსცანით, შორეულ აღმოსავლეთში ჩვენი ჯარის გასაძლიერებლად, სამხედრო წეს-რიგზე დავაყენოთ, შევავსოთ და შევადგინოთ ჯარების ზოგიერთი ნაწილები და დაწესებულებანი ვარშავის, ვილნოს, ვიევის, ყაზანის, მოსკოვისა, პეტერბურგისა და ოდესის სამხედრო ოლქებში. სამხედრო მინისტრს ვუბრძანეთ შესაფერი განკარგულება მოახდინოს. ამასთანავე ვბრძანებთ: I) გაწვეულ იქმნას სამსახურში, არსებულ სამობილიზაციო წესის თანახმად, ჯარის კაცთა საჭირო რიცხვი შემდეგ მაზრებში: ა) ვარშავის სამხედრო ოლქის, კალიშის გუბერნიის: კალიშის, ლენჩინცკის, რეკლის, ტურეკის, სლონინის, სლუპეცკისა და ველიუნსკისაში; პეტროკოვის გუბერნიის: პეტროკოვის, ლასსისა და რავის მაზრებში; კელეცკის გუბერნიის: ანდრეევისა და მეხოვსკისაში; რადომის გუბერნიის: რადომის, სანდომირის, ოპატისა და იღიჟეცკისაში; ლიუბლინის გუბ: ლიუბლინის, ლიუბარტოვის, ნოვოალექსანდრიისკის, იანოვსკისა და ბელგორაისკისაში. ბ) ვილნოს სამხედრო ოლქის, ვილნოს გუბერნიის შემდეგ მაზრებში: ვილნოს, ლისნენის, ლიდისა და სვენციანისაში; გროდნოს გუბერნიის სლონიმის მაზრაში; კოვნოს გუბერნიის: ვილკომირის, პონევეჟისა და შავლისაში; კურლიანდიის გუბერნიის: ბაუსკის, ილუკსტისა და ფრიდრიხშტადტისაში; მინსკის გუბერნიის: მინსკის, ბობრუისკის, ბორისოვის, იგუმენსკის, მოზირის, პინსკისა, და სლუცკისაში; მოგილევის გუბერნიის: გომელის, ორშანსკისა და როგაჩევისაში; გ) კიევის სამხედრო ოლქის, კიევის გუბერნიის: ბერდიჩევის, ვასილკოვის, ლიპოვეცის, უმანის, ჩერკასკისა და ჩიგირინისაში; ვოლინის გუბერნიის, ჟიტომირის მაზრაში; პოდოლსკის გუბერნიის: კამენეც-პოდოლსკის, ბრაცლავის, ვინნიცისა და ლიტინისაში; პოლტავის გუბერნიის, გადიაჩისა და პერეიასლავისაში; ჩერნიგოვის გუბერნიის: კოზელეცის, ნეჟინის, ოსტერის და სკვირაჟისაში; ხარკოვის გუბ.: ხარკოვის, ბოგოლუხოვის და ზმიევის მაზრებში; კურსკის გუბ.: ბელგოროდის, დმიტრიევის, კოროჩანის და ფატეჟისაში. დ) ყაზანის სამხედრო ოლქის, ყაზანის გუბ.: ყაზანის, ლაიშევის, ცივილსკის, ჩებოქსარის, ჩისტოპოლის და იადრინსკის მაზრებში. პერმის გუბერნიის—პერმის მაზრაში; სამარის გუბ.: ბუგურუსლანის, ნიკოლაევის და ნოვოუზენსკისაში; სარატოვის გუბ.: ბალაშევის და პეტროვისაში. სიმბირსკის გუბ.: სიმბირსკის, არდატოვის, ბუინსკის, კარსუნის, კურმიშკისა და სიზრანისაში; უფის გუბერნიის: მენზელინის და ბირსკისაში. ვიატკის გუბ.: ელაბუგის, ნოლინსკის, სარაპულის და იარინსკისაში; ე) მოსკოვის სამხედრო ოლქის, მოსკოვის გუბ: ბოგოროდსკის, ბრონნიცის, ვერეის და სერპუხოვის მაზრებში. ვლადიმირის გუბ.: ვლადიმირის, ალექსანდროვის და პოკროვსკისაში; ვორონეჟის გუბ.: ბირიუჩის, ბოგუჩარის, ვალუის, ზადონსკის, ნოვოხოპერის, ოსტროგის და პავლოვისაში; კოსტრომის გუბ.: კოსტრომის, ბუისკის, ვარნავის, გალიჩის, კინეშმის, კოლოგრივის, ნერეხტის, ჩუხლომის და იურიევეცისაში; ნიჟეგოროდის გუბ.: ნიჟეგოროდის, არდატოვის, არზამასის, ვასილსკის, გორბატოვის, ლუკოიანის, მაკარიევის, სემენსკის და სერგაჩისაში; ორიოლის გუბ.: ორიოლის, ბოლხოვის, კარაჩევის და კრომსკის მაზრებში. რიაზანის გუბ.: დანკოვის და ზარაისკისაში. ვ) პეტერბურგის სამხედრო ოლქის, პეტერბურგის გუბ.: გდოვის, ლუგას, შლისელბურგის და იამბურსკის მაზრებში. ესტლიანდიის გუბ.: გაპსალის, ვეზენბერგის და ველსენიტეინისაში; ლიფლიანდიის გუბ.: პერნოვის, ფელინის და ვოლმარისაში; პსკოვის გუბ.; პსკოვის, ველიკოლუცკის, ნოვორჟევის და პორხოვისაში; ნოვგოროდის გუბ.: ნოვგოროდის, ბოროვიჩის, ბელოზიორის, კირილოვის, კრესტეცის, ტიხვინის, უსტიუგის და ჩერეპოვეცისაში. ოლონეცკის, პეტროზავოდსკის, პოვენეცის, პუდოგის და ვიტეგრისაში; არხანგელსკის გუბ.: არხანგელსკის, შენკურის, მეზენის, ონეგის, კემის, ალექსანდროვის, პინეგის და პეჩორისაში; ზ) ოდესის სამხედრო ოლქის, ხერსონის გუბ.: ოდესის, ხერსონის და ანანიევის მაზრებში; ბესსარაბიის გუბ: აკკერმანის, ბენდერის, იზმაილის და ხოტინისაში; ეკატერინოსლავის გუბ.: ეკატერინოსლავის, ალექსანდროვის, მარიუპოლის, ნოვომოსკოვის, პავლოგრადის და სლავიანოსერბსკისაში; ტავრიჩესკის გუბ.: სიმფეროპოლის, ბერდიანსკის, ევპატორიის, პერეკოპის, იალტის და ფეოდოსიისაში. II ზოგიერთ ჩამოთვლილ მაზრაში და აგრეთვე სედლეცის გუბ. სედლეცის მაზრაში და პოლტავის გუბ. კონსტანტინოგრადის მაზრაში უნდა მოყვანილ იქნას ცხენების საჭირო რიცხვი, არსებულ წეს-რიგის თანახმად. III უნდა გაწვეულ იქნან სამსახურში ყველა ის სათადარიგო ჯარის ოფიცრები, რომლებიც დანიშნულნი არიან საომარ წეს-რიგზე დაყენებულ ჯარის შესავსებად.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
7 დეკემბერი

კაპშტადტი, 6 დეკემბერი. ნაშუადღევის 3 საათზე გაიარეს კაპშტადტიდან 30 მილის მანძილზე და სამხრეთისკენ გაემართნენ წყნარ ოკეანეს ესკადრის 16 გემი, მათ შორის ნახშირის გემებიც.

ტოკიო, 6 დეკემბერი. იაპონელებმა უკუ აქციეს 5 დეკემბერს სანტასკანძისა, სიუნძისა და მენხაიბონკუზე იერიშით მოსული რუსები. რუსებმა 80 ყუმბარა გაისროლეს მდინარე შახეზე რკინის გზის ხიდის ახლოს, მაგრამ იაპონელებს დიდი ზარალი ვერ მიაყენეს. არა ოფიციალური ცნობებით, პორტ-არტურზე ალყად შემორტყმულ არმიის მარჯვენა ფრთა წინ წავიდა და დაიპყრა სიმაღლე 203 მეტრიან გორის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 1000 მეტრის მანძილზე.

ჩიფუ, 6 დეკემბერი („დეილი ტელეგრაფი“). იაპონელებმა აირჩიეს საზღვაო ბაზად კუნძული ტაკიოტაო, რომელიც მიაოტასკომეს არხიპელაგს ეკუთვნის. გუშინ იალუს შესართავთან იაპონელთა ბევრი სამხედრო გემი მოვიდა. დღეს პეჩილიის ყურეში ზარბაზნების გრიალი ისმის. „დეილი მეილ“-ს აუწყებენ პორტ-არტურიდან რომ კიკვანშანის სიმაგრის ქვეშ 4 ფუტის სიღრმეზე გაყვანილი ბრუსტვერები, რომლებშიაც ორი ტონა დინამიტი იყო, აფეთქდა. ნაშუადღევის 2¼ საათზე ვოლონტიორებმა იერიში მიიტანეს. 60 კაცი ჩამოზვავებულმა მიწამ დაჰფარა. ფორტის იერიში შესწყდა. ამ დროს კურსკელებს მოშველი ჯარი მოუვიდათ. საშინელმა ხელ-ჩართულმა ბრძოლამ შუაღამემდის გასტანა. შემდეგ ცოცხლად გადარჩენილმა რუსებმა მეციხოვნე ჯარის სიმაგრეებისაკენ დაიწიეს. ამ ფორტის იერიში სრულიად მოულოდნელი იყო, რადგან წინდაწინ იაპონელებს ფორტისათვის ყუმბარები არ დაუშენიათ. კიკვანშანის ფორტი—პირველი მუდმივი ფორტია რომელიც იაპონელებს ჩაუვარდათ ხელში, ეს სიმაგრე სამაგალითოდაა აშენებული. ამ ჟამად იაპონელები იქ მძიმე ზარბაზნებს სდგამენ. პორტ-არტურის ერთ საავადმყოფოს ყუმბარა მოხვდა და მოჰკლა 9 კაცი, მათ შორის ექიმიც, და დასჭრა ერთი ავადმყოფი.

პეტერბურგი, 7 დეკემბერი. გენერალის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 6 დეკემბერს: „ღამე მომხდარ შეტაკებათა შესახებ მოხსენება არ მოსულა. ღამე 16 გრადუსი ყინვა იყო.“ მეორე დეპეშა, 7 დეკემბერს გამოგზავნილი: „6 დეკემბერს ღამე შეტაკებათა შესახებ მოხსენება არ მოსულა. ღამე ათ გრადუსამდე ყინვა იყო“.

მარიუპოლი, 7 დეკემბერი. დღეს გამოცხადებული იყო მობილიზაცია. სამსახურში იწვევენ ყველა სალდათს, სათადარიგო ჯარის კაცებს, სამკურნალო როტებს და ფელდშერებს, იმათ გარდა, რომელთაც 1887, 1888 და 1889 წელს დაასრულეს სამსახური; აგრეთვე ხელოსნებსაც, რომელნიც სამობილიზაციო სიებში ჩამოთვლილნი არიან. მობილიზაცია 8 დეკემბერს დაიწყება.

(ღამის დეპეშები იხილე ცალკე ფურცელზე)

◆

ჟურნალ-გაზეთებიდან

პორტ-არტურის აღმოსავლეთ ფორტების შტურმი. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი ასე აწერს ამ შტურმს: „აღმოსავლეთ ფორტების შტურმი 15 ნოემბერს დაიწყო. ყველაზე გამწვავებული ბრძოლა ვანტაისთან (მაღალ გორის ფორტი) და პანლუნშანის ახალ ფორტებთან მოხდა. უნდა იცოდეთ, რომ ორი ვანტაია, ერთი დასავლეთის ანუ იტცუშანის ფორტების ჯგუფს ეკუთვნის და რკინის გზიდან შორს დასავლეთისაკენ მდებარეობს, მეორე რკინის გზიდან შორს აღმოსავლეთით მდებარეობს. დასავლეთ ვანტაიზე იაპონელებს კვლავაც ბევრჯელ მიუტანიათ შტურმი, აღმოსავლეთ ვანტაიზე-კი ეს პირველად მიიტანეს შტურმი. ეს კარგად უნდა გახსოვდეთ, თორემ რიგზე ვეღარ გაიგებთ შტურმის აღწერას. ორივე გორას ერთი სახელი ჰქვიან: ვანტაი ჩინურად ჰნიშნავს: მოდარაჯე, ანუ ზედამ-

ხედველ გორას. ალბად, ამ გორების ერთმანეთისაგან გასარჩევად, იტცუშანისაკენ მდებარე ვანტაის ახლა ტაიანცუშანს ეძახიან, ნამდვილ იტცუშანს-კი შოატცუშანს ეძახიან; „ტაი" დიდსა ჰნიშნავს, „შო" პატარას. აღმოსავლეთი ვანტა ფორტ II-ის პირდაპირ მდებარეობს; ფორტი II აღმოსავლეთ პანლუნშანის გვერდზე დგას; აღმოსავლეთ პანლუნშანს იქით დასავლეთი პანლუნშანი მდებარეობს. ორივე პანლუნშანი და ფორტი II ოქტომბერს აქეთ იაპონელებს უპყრიავთ. ამ ფორტებსა და პანლუნშანის ახალ ფორტსა, მაღალ ფორტსა და ვანტაის შუა ერთი ხევი ჩადის. უკანასკნელი სამი ფორტი რუსებს უპყრიავთ. ვანტაის ახლო ზღვის მხრიდან—პეტუშანის ქედის აღმოსავლეთ ჯგუფის ჩრდილოეთი ფორტი მდებარეობს. აქ რუსებს მხოლოდ ტრანშეა აქვთ გაყვანილი გორის ფერდობის შუაზე. იაპონელებმა თავიანთი ტრანშეები რუსის ტრანშეებს 30 ნაბიჯზე დაუახლოვეს და აქედან რუსებს ეცნენ, ხელჩართულმა ბრძოლამ მთელი დღე გასტანა. იაპონელებმა ბეტონისაგან აშენებულ სიმაგრეებსაც მიაღწიეს, მაგრამ რუსის ტყვიის მტყორცნელები სეტყვასავით აყრიდნენ ტყვიას და შტურმის მიმტანნი იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ. ფორტ II-დან, ვიინტაის პირდაპირ, იაპონელების 6 სამთო ზარბაზანი ყუმბარას უშენდა რუსის მაქსიმის ზარბაზნებს, რუსის ალტილერია გაჩუმებას ცდილობდა. ბოლოს იაპონელები ტრანშეებში გამაგრდნენ ოთხი ნაბიჯის მანძილზე რუსის სიმაგრეების გალავნიდან.

იაპონელებმა ერლუნშანზეც მიიტანეს შტურმი და თვალსაჩინოდაც გაიმარჯვეს: რუსის ბასტიონებამდე (ბასტიონი ფორტის კუთხეებში აშენებულ ხუთ-კუთხიან სიმაგრეებსა ჰქვიან) და სანგრები დამართეს, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ ერლუნშანის ფორტებიდან რუსებს ზარბაზანი ვეღარ დაეშინათ. ღამით იაპონელებმა ბეტონისაგან აშენებულ სიმაგრეებზე მიიტანეს იერიში, მაგრამ რუსებმა ხელით სასროლის დინამიტის ყუმბარები დააყარეს და ბოლოს იაპონელები იძულებულნი იყვნენ თავიანთ ტრანშეებში დაბრუნებულიყვნენ, თხრილის იქითა მხარეს, სადაც ძლიერ გამაგრდნენ; ეგაა არა მგონია, რომ ეს ტრანშეები შეინარჩუნონ.

პეტუშანის ქედის ჩრდილოეთ ფორტის სამხრეთით, ქედის წინ ერთი მაღალი პოზიცია, სახელად კობუიამა მდებარეობს. ეს სახელი იაპონელებმა დაარქვეს, კობუ იაპონურად გამობერილსა ჰნიშნავს. იაპონელებმა ეს პოზიცია დაიჭირეს და სოლივით შეიჭრნენ პეშუშანის ქედის ჩრდილოეთ ფორტსა და ამ ქედის სხვა აღმოსავლეთ ფორტებს შუა (უნდა გახსოვდეთ, რომ ნამდვილ პეტუშანის ქედის გორები შორს, პორტ-არტურის მეორე მხარეს ვეფხვის კუდზე მდებარეობენ) და ნამდვილად ხელში ჩაიგდეს ჩრდილოეთი ქედი პეტუშანის ქედისა, კობუიამასა და ფორტ II-ს შუა. კობუიამა ისეთი პოზიციაა, რომ იმისი შენარჩუნება მეტად ძნელია, რადგან რუსები ამ პოზიციის უკან ახლო დგანან პეტუშანის ქედის უმთავრეს აღმოსავლეთ ფორტზე.

სანგშუშანის ძველსა და ახალ ფორტზეც მიიტანეს შტურმი იაპონელებმა და აქაც გაიმარჯვეს. იაპონელები თავგანწირულად ცდილობენ, რომ სანშუშანისა და ყველა აღმოსავლეთის ფორტი საბოლოოდ ხელში ჩაიგდონ და შტურმი სრულის გამარჯვებით დააგვირგვინონ. დასავლეთის ფორტები, ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვათ იტცუშანის ჯგუფი, სადაც ჯერ რუსის ბაირაღი ფრიალებს, ეხლა მუდამ „203 მეტრიან გორას" უშენენ ზარბაზანს. იაპონელებსა და რუსებს ამ ადგილას ერთი ველი-ღა ჰყოფთ.

მალე პორტ-არტურის დასავლეთ მხარესაც დიდი ამბები უნდა მოხდეს, რადგან ციხის აღმოსავლეთ ფორტების აღება შეუძლებელია, სანამ იტცუშანის ფორტების ჯგუფის არტილერიას არ გააჩუმებენ. იქნება იაპონელებმა მთელ ამ ჯგუფზე (იტცუშანი, ანძუშანი, დასავლეთი ვანტაი) ერთბაშად მიიტანონ შტურმი. („რ.").

ეს კორესპონდენცია ეტყობა, „ვისოკაია გორის" აღების წინაა დაწერილი, მაგრამ მაინც სჩანს, რომ იაპონელების შტურმს აღმოსავლეთ ფორტებზე არც ისე უნაყოფოდ ჩაუვლია, როგორც ზოგიერთის ცნობიდან გამოდიოდა. თუმცა იაპონელებმა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ფორტთან მხოლოდ დემონსტრაცია მოახდინეს, ნამდვილი უმთავრესი შტურმი კი ციხის დასავლეთ მხარეზე მიიტანეს და აიღეს კიდევაც 203 მეტრიანი, წითელი („აკასამა") და „ვისოკაია" გორები.

ამ კორესპონდენციიდან ცხადადა სჩანს აგრეთვე, რომ ერთსა და იმავ ფორტს სხვა-და-სხვა სახელი ჰქონია. მაგალითად დასავლეთ ვანტაის ტაიანძუშანსაც ეძახიან, თურმე, ანძუშანს-შაო-ანძუშანს; ერთისა და იმავ სახელის ფორტიც რამდენიმე ყოფილა სხვა-და-სხვა ადგილას: ვანტაის ფორტი ორია, ერთი დასავლეთ მხარეს, მეორე აღმოსავლეთ მხარესაო; პეტუშანის ქედი ორგანაა,—ერთი აღმოსავლეთ მხარეს, მეორე ვეფხვის კუდზეო. ყველა ეს მეტად აძნელებს პორტ-არტურის ამბების გაგებას. ტყუილად-კი არ უმატებს კორესპონდენტი, უნდა გახსოვდეთ, რომ ვანტაი ორია, თორემ ამ აღწერიდან ვეღარას გაიგებთო.

კიკვანშანის აღება. იაპონიის საელჩოს ლონდონში ოფიციალური დეპეშა გამოუცხადებია: 5 დეკემბერს იაპონელებმა ჩრდილოეთ კიკვანშანის ფორტი აიღესო. ამ ფორტის აღებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩრდილოეთი კიკვანშანი პორტ-არტურის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს, რკინის გზის აღმოსავლეთით. ეს მკვიდრი, მაგარი ფორტია და ჩრდილოეთ აღმოსავლეთ ფორტებსა და აღმოსავლეთ ფორტებს შუა დგას. ასე რომ იაპონელებს აღმოსავლეთ ფორტების სარტყელიც გაურღვევიათ. ეხლა ამ ფორტზე საალყე მძიმე ზარბაზნებს დასდგამენ და დანარჩენ აღმოსავლეთ (კინკიშანს, პეილუშანს და სხვა.) და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ფორტებს (ერლუნშანს და სხვა.) გვერდიდან დაუშენენ ყუმბარას და ამ ფორტების შტურმს გაიადვილებენ, მით უმეტეს რომ ამ ფორტებს, ნამეტნავად ერლუნშანს „ვისოკაია გორიდანა" და 203 მეტრიან გორიდანაც გვერდიდან უშენენ ზარბაზანს. იმავე დროს შუშიანგსა და პალიჩუანში (ფორტების ჩრდილოეთითა მდებარეობენ) დადგმული არტილერიაც მოქმედებს და ხსენებულ ფორტებს ფრონტიდან (წინიდან, შუბლიდან) უშენს ზარბაზანს.

ამას გარდა გუშინდელმა დეპეშებმა გვაცნობეს, იაპონელებმა 203 მეტრიან გორიდან ათას მეტრის მანძილზე, წინ, (ქალაქისაკენ) ერთი გორა აიღეს და ახალ ქალაქზე (პორტ-არტურის დასავლეთ მხარეს მდებარეობს, ბუხტის ჩრდილოეთ ნაპირას) იერიშის მიტანას აპირობენო. თუ ეს ცნობა მართალია, მაშ იაპონელებს იტცუშანის ფორტიც აღებული უნდა ჰქონდეთ, რადგან ეს ფორტი, როგორც სწერენ, 203 მეტრიან გორასა და ახალ ქალაქს შუა მდებარეობს და სანამ ამ ფორტს არ აიღებენ, ახალ ქალაქზე იერიშის მიტანა შეუძლებელი იქნება. მართალია ეს ცნობა, თუ ტყუილი, მალე გავიგებთ. იაპონელები ეხლა მეტად ბეჯითად, ფიცხად მოქმედებენ პორტ-არტურთან. („ლ.").

პორტ-არტურის ესკადრა. გენ. ნოგი 27 ნოემბერს, შაბათს, იუწყებოდა: 4 რუსის ჯავშნიანი გემი, 2 კრეისერი, 1 კანონირი და 1 სანაღმე გემი ისე დავაზიანეთ, რომ ბრძოლისათვის აღარ გამოდგებიან. რუსის ესკადრას ზარბაზნის სროლა აღარ ესაჭიროება. ეხლა ქალაქსა და ციხეს ვუშენთ ზარბაზნებს და ძლიერაც დავაზიანეთო. („ნ. დ.").

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის სამხედრო მიმომხილველს გრაფ რევენტლოვსაც ძრიელ აკვირვებს პორტ-არტურის ესკადრის უბედური ბედი. რევენტლოვი სწერს: შესაძლებელია, რომ 28 ივლისის ბრძოლაში რუსის გემები ისე დაზიანდნენ, რომ იმათი შეკეთება ალყა შემორტყმულ პორტ-არტურში შეუძლებელი იყო, ან იქნება გენ. სტესელს მეზღვაურების შველა და გემების ზარბაზნების დახმარება ესაჭიროებოდა და ამიტომ რუსებმა ძალა უნებურად გემები მსხვერპლად შესწირეს ციხესაო. ძნელი გამოსაცნობია აგრეთვე, რუსებმა რატომ თითონვე არ ააფეთქეს გემები, რაკი ესკადრის გადარჩენის იმედი გადუწყდათ. ბოლოს რაკი იაპონელებმა ფლოტს დაუშინეს ზარბაზანი, საშიშიც იყო მეზღვაურების გაგზავნა გემების ასაფეთქებლად. თუმცა რუსის გემები დაზიანებულია, იაპონელები, ციხეს რომ აიღებენ, მაინც შეაკეთებენ ამ გემებს და ბრძოლისათვის გამოიყენებენ, რადგან ყუმბარა წყალ ქვემოდ მაინც და მაინც ძლიერ ვერ დააზიანებდა რუსის გემებს. („რ.").

რუსულ პრესის აზრი პორტ-არტურის ესკადრაზე. როგორც ვიცით, საზღვარ-გარედ ბევრს უკვირს, რად მოიქცა ასე პორტ-არტურის ესკადრა, რატომ ზღვაში არ გავიდა, იაპონიის ფლოტს არ შეებრძოლაო. „რუსკია ვედომოსტ"-ის სამხედრო მიმოხილველი ბ-ნი ვ. მ. ამართლებს რუსის ესკადრას. მიმომხილველი სწერს: „28 ივლისს ვეიხაივეისთან დამარცხებამ ბოლო მოუღო პორტ-არტურის ესკადრას. ესკადრა 10 აგვისტოს და შეეცადა პორტ-არტურიდან გასვლას, მაგრამ ესეც მარცხითა და „სევასტოპოლ"-ის დაზიანებით გათავდა და ესკადრა ისევ პორტ-არტურს დაბრუნდა და მას აქეთ თითქმის სულ ოთხის თვის განმავლობაში არც ადმ. უხტომსკის, არც ადმ. ვირენს არა გაურიგებიათ-რა ზღვაში და არც შეეძლოთ რისამე გარიგება, რადგან იაპონიის ფლოტი 10 აგვისტოს შემდეგ თითქმის ერთი-სამად ძლიერი იყო რუსის ფლოტზე. ტყუილი ფიქრი იქნება, ვინმემ იფიქროს, რუსის ესკადრა რომ ზღვაში გასულიყო და იაპონიის ფლოტს შებრძოლებოდა, ადმ. ტოგოს თვალსაჩინოდ შეასუსტებდა და ადმ. როჟესტვენსკის გამარჯვებას გაუადვილებდაო. 28 ივლისის ბრძოლამ დაგვანახვა, რომ ესეთი ფიქრი ფანტასტიური ფიქრი იქნებოდა. 28 ივლისს ადმ. ვიტგეფტმა ვერც ერთი გემი ვერ ჩაუძირა იაპონელებს და რუსის ფლოტს-კი ცხრა გემი დააკლდა (ზოგმა იარაღი აიყარა, ზოგი შემდეგში ჩაიძირა) და იძულებული იყო, ისევ უკან დაბრუნებულიყო. როგორიც უნდა იყოს, უფრო სუსტისა და ნელა მოსიარულე ესკადრის უფროსი ადმირალი, სულ ერთია, ვერას გახდება უფრო ძლიერ და სწრაფად მოსიარულე ესკადრასთან. უფრო სწრაფად მოსიარულე ესკადრის უფროსი ადმირალი, როგორც უჯობს ბრძოლის დროს, ისეთ მანძილზე დადგება მოპირდაპირე ესკადრიდან; აკი იაპონელებიც ყოველთვის სარგებლობდნენ ამ უპირატესობით; ადმ. ტოგო რუსის ფლოტთან 4½ მილზე ახლო არ მოდიოდა და შორს მანძილზე ბრძოლის დროს-კი მუდამ და აუცილებლად ის ფლოტი დამარცხდება, რომელსაც უფრო სუსტი არტილერია აქვს, თანაც ისე დამარცხდება, რომ თავის მოპირდაპირესაც ბევრს ვერას დააკლებს. ამას გარდა, პორტ-არტურის ესკადრისა და ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის შეერთება, როგორც თავის დროზე ვსთქვით, მეტად ძნელი საქმე იყო. ადმ. ტოგოს ესკადრა ორსავ რუსის ესკადრაზე (პორტ-არტურისა და ადმ. როჟესტვენსკის ესკადრაზე) უფრო სწრაფად დადის; ამას გარდა ადმ. ტოგოს ბრძოლის ველის ახლო მრავალი პორტი და სადგური აქვს ხელთა და ამიტომ ადვილად შეეძლო რუსის ესკადრები ცალ-ცალკე დაემარცხებინა. აქ უნდა დავეთანხმოთ ისეთ მცოდნე კაცს, როგორიცაა რუსის დიდ-ოკეანის ფლოტის საზღვაო შტაბის უფროსი მე-2 რანგის კაპიტანი კლადო. კაპიტანმა კლადომ „ნოვოე ვრემია"-ში ბევრი ნიჭიერად და გულწრფელად დაწერილი წერილები დაბეჭდა ადმ. როჟესტვენსკის ესკადრაზე და ამტკიცებდა, რომ პორტ-არტურის ესკადრის შველის იმედი არ უნდა ჰქონდეს ადმ. როჟესტვენსკისაო, ასე რომ რუსის ფლოტის ხელმძღვანელებიც იმავე აზრისანი ყოფილან, რომ პორტ-არტურის ესკადრის შველის იმედი არ უნდა გვქონდესო. პორტ-არტურის ესკადრამ დიდი ხანია იარაღი აიყარა, ზარბაზნები ხმელეთზე გადაიტანა და მეზღვაურები ციხის მამაც დამცველებს მიაშველა.

რუსის მესამე ესკადრა. „პტი პარიზიენ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: მესამე ესკადრის გემები ზღვაში გასასვლელად დაემზადნენო. გემებს ახალი მაშინები, ქვაბები და არტილერია გაუმართეს, მხოლოდ მეზღვაურები აკლიათო. („ნ. დ.").

მიჩმან მალიუტინის თავის მოკვლა. ალჟირიდან დეპეშით იუწყებიან, რუსის კონტრ-ნაღმიან გემის „პროზორლივი"-ს მიჩმანმა (პირველი ჩინი მეზღვაურ აფიცრისა) მალიუტინმა რევოლვერით თავი მოიკლა. მალიუტინი 20 წლისა იყო: გენ.-მაიორის შვილი იყო. „პროზორლივი" დიდ ოკეანის მეორე ესკადრის მესამე რაზმში ირიცხება. („ნ. დ.").

ახალი ამბავი

◆ **გადასახადთა დეპარტამენტმა აცნობა გუბერნატორს,** რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით ნება დართო გორის მაზრის სოფელ ატენ გლეხებს საერობო გადასახადის ნედოიმკები 536 მან. 40 კაპ. ხუთის წლით გაანაწილონ და ისე შეიტანონ. რაც შეეხება სახელმწიფო საადგილ-მამულო გადასახადის ნედოიმკებს, იმის განაწილება აღარ არის საჭირო, რადგან უმაღლესის მანიფესტით ეს გადასახადი ეპატიათ გლეხებსაო.

◆ გუშინ, 8 დეკემბერს, ტფილისში ჩამოვიდა სრულიად **სომეხთა კათალიკოსი მკრტიჩ I.** კათალიკოსს სადგურზე დაჰხვდნენ სომხის სამღვდელოება და სამწყსოს წარმომადგენელნი.

◆ **ბათუმის ქალაქის** მოურავის თავ. ანდრონიკაშვილის მეცადინეობით, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, გადაიდო 218 ათასი მანეთი სანავთ-სადგურო თანხიდან ქალაქის ჰაობების ამოსაშრობად. ამ საქმე უკვე შეუდგომიან. საქმის ხელმძღვანელად დანიშნულა გენერალი ქილინსკი. ამოშრობა ჰაობებისა გასტანს 3 წელს. ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ ჰაობები მხოლოდ სამ-

ფელეტონი

„ღ ა ლ ა ტ ი"

(დასასრული *)

„ღალატის" მთავარი მოქმედი პირი ზეინაბია. ზოგიერთების აზრით, ზეინაბი თვით საქართველოს სიმბოლო და იმისი პიროვნება ქართველის ერის ისტორიულ სვებედის გამოხატვაა. ძნელი სათქმელია, რამდენად მართალია ეს აზრი; შეუძლებელი კი აქ არაფერი არ არის და იქნება თავ. სუმბათაშვილს მართლა ამ აზრით ჰქონდეს ზეინაბი სულეიმანის მოპირისპირედ დასახული. მაინც და მაინც თუ სულეიმანი ქართველის ერის მტერთა სიმბოლოა, შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ზეინაბი თვით საქართველოს სიმბოლო უნდა იყოს, მაგრამ არც იმისი დაფარვა შეიძლება, რომ ეს სიმბოლო სრულიად მოუხერხებელია და გამოუსადეგარია. ისტორიულად საქართველოს გამარჯვება ისლამის მორწმუნე მტრებზე და ქრისტიანობისა და სარწმუნოებრივის თავისებურების დაცვა მიუხედავად მტრის სიმრავლის, ადმატებულის ძლიერებისა და ბრძოლის მრავალ საუკუნოანობისა დამყარებულია ქართველის ერის ზნეობითს სიმტკიცეზე, რომელიც, თუ გნებავთ, შესაძლოა ჰხვდეს მთლად ქართველის ერის გაწყვეტას, მაგრამ იმის დამონებას და გადაგვარებას-კი არა. ჩვენი ისტორია სავსეა მსხვერპლის მაგალითებით, მეფიდან მოყოლებული უბრალო გლეხამდე ვერავინ ვერ ურიგდებოდა გადაგვარებას და ისევ სიკვდილს არჩევდა. რა თქმა უნდა, ოცის საუკუნის განმავლობაში ღალატის და გათათრების მაგალითებიც შეგვხვდება, მაგრამ ქართველის ერის საერთო ხასიათი, იმისი სული-კი მაინც მთლიანობით, სიმტკიცით იყო ძლიერი და არა ღალატით; ამ ზნეობითის სიმაგრით შეირჩინა ქართველმა ერმა თავისებურება და არა ღალატით. ეჭვს გარეშეა, მარტოოდენ ზნეობითა ფიზიონომია ქართველის ერისა ვერ აგვიხსნის ჩვენს დიდსა და ფერადს წარსულს, ამის გასაგებად და გასაცნობიერებლად, ჩვენის ფიქრით, უპირველესი მნიშვნელობა იმ დროინდელ ცხოვრების საზოგადო ხასიათსა აქვს. ერის მართვა-გამგებლობა აწინდელის ფორმებით სახელმწიფოებრივის პოლიტიკისა მაშინ ყველასათვის უცნობი იყო, მართვა-გამგეობა ერისა, რამდენიც უნდა დაემარცხებინათ სპარსელებს და ოსმალებს ქართველი მეფეები, მაინც ისევ ქართველ ფეოდალების ხელში უნდა დარჩენილიყო; დამოკიდებულება გამარჯვებულის მტრისაგან კონკრეტულად მხოლოდ ხარჯის ძლევით გამოიხატებოდა, შინაური საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრება კულანდებური უნდა დარჩენილიყო. საქართველოს მტრებმა არ იცოდნენ, როგორ მოეხერხებინათ ქართველის ერის გადაგვარება და თავის ბატონობის გამტკიცება, და ამიტომ სისასტიკით უნდოდათ ჩაეხშობინათ და დაემონავებინათ ისტორიული საქართველო, მაგრამ ამ საშუალებას, როგორც ვთქვით, ან სულ უნდა გაეწყვიტა ერი, ან უნაყოფოდ უნდა დარჩენილიყო, რადგანაც ეს სისასტიკე მხოლოდ მძულვარებას აღვიძებდა ქართველის ერის გულში მტრისადმი და საზოგადოებრივს ცხოვრებაზე ვერავითარს გავლენას ვერ ახდენდა. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება, რომ ისტორიული საქართველო სიხარულით მიეგება რუსების მართვა-გამგეობის შემოღებას; რუსეთმა, როგორც მოწინავე სახელმწიფომ, თავიდანვე უარჰყო ერის გადაგვარების განზრახვა და მხოლოდ იმის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრების მართვა-გამგებლობას შეუდგა. ერს ამის წინააღმდეგ არაფერი ჰქონდა, რადგანაც იმისგან არც მონობას ითხოვდნენ და არც გადაგვარებას. ისლამის მორწმუნე სახელმწიფოთა-კი სწორედ იმის ცდაში იყვნენ, რომ ქართველს ერს თავისი თავისებურება უეცრივ წაერთმიათ. მაინცა და მაინც საქართველომ იმით შეინახა თავი ოსმალოთა და სპარსთაგან, რომ მტკიცედ იცავდა თავის ეროვნულს თავისებურებას და სიკვდილს არჩევდა გადაგვარებას. ამის გამო, ჩვენის ფიქრით, ზეინაბი თავ. სუმბათაშვილისა სრულებით არ შეეფერება თავის ხასიათითა და ზნეობითის უმტკიცობით ქართველს ერს. უფრო ნაკლები ისტორიული სიმართლე აქვს ზეინაბს, როგორც ქართველის ქალის ტიპს. თუ საქართველოს ერი მტკიცედ იცავდა თავის ტომობას და სარწმუნოებას, ეს სიმტკიცე ყველაზე მეტად ქართველის ქალის ხასიათის თვისებას შეადგენდა, რადგან იმისათვის გარეშე ქრისტიანობისა და ქართველობისა ცხოვრება არ არსებობდა. ისტორიულად, ჩვენის ფიქრით, ზეინაბი ყალბი პიროვნებაა.

ისტორიულს სიყალბესა და სინამდვილეს დრამატიულ ნაწარმოებისათვის საერთოდ იმდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც ფსიხოლოგიურს. თავ. სუმბათაშვილის გმირი, ზეინაბი, ჩვენის ფიქრით, ამ მხრივაც ყალბი პიროვნებაა. ზეინაბი ოცის წლის განმავლობაში ყურმოჭრილი მხევალია სულეიმანისა, იმის გავლენა სულეიმანზე მარტოოდენ ამ მტარვალის უმისოდაც სასტიკის ბუნების სიმხეცეზე წაქეზებით გამოიხატება, იმისი მოქმედება მთელის ოცის წლის განმავლობაში მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ სულეიმანს ქართველს ხალხს აწვალებინებს და ატანჯვინებს; როგორც თითონ ზეინაბი ამბობს, იმას ეხლა აღარავინ და აღარაფერი არ უყვარს, სიბრალული, სიყვარული, სინიდისი,—ყოველივე გულში აქვს ჩამარხული, არც მშობელნი, არც მეგობარნი და არც შვილი არ უყვარს, იმას მხოლოდ „მრავალ წამებული, ძონძებში გახვეული ხალხი სწამს", და აი ამ ხალხს შესწირა იმან თავისი მეფური დიდება და ქალური ღირსება. იქნება ზოგს ძალიანაც მოსწონდეს ზეინაბი, როგორც მაგალითი ისეთის ცხოვრებისა, რომელიც ხალხის სახელით ამ ხალხს ტყავს აძრობს და სამშობლოს თავისუფლესის მოსაპოებლად ყოველს ნაბიჯზე თვით სამშობლოს ჰღალატობს ოცის წლის განმავლობაში, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ამ მაგალითის სიყალბე დაიფაროს. რა არის ეს „ძონძებში გახვეული ხალხი" და რას ემსახურება ერთს დროს საქართველოს დედოფლად ცნობილი თამარი? ხალხის სამსახური დღემდე ყველას ისე გვესმის, როგორც დაცვა ხალხის ინტერესებისა, ზეინაბს კი ეს სამსახური პირ-უკუღმა აქვს წარმოდგენილი: იმის ფიქრით, რაც მეტს აწვალებენ, მეტს შეაწუხებენ, მეტს აწამებენ ქართველს ხალხს—მით უკეთესია, და თავისი საქართველოს განსათავისუფლებლად მომართული მოღვაწეობაც სწორედ ასე მოაწყო. ამ ორ-პირს მოქმედებას ცალის მხრივ ეროვნული გრძნობა ჰქონდა და მეორე მხრივ ფუჭი სიტყვა „ხალხის სამსახური". ზეინაბის ასეთი ცხოვრება და მოქმედება, ჩვენის ფიქრით, ფსიხოლოგიურად წარმოუდგენელია. მესამე მოქმედებაში, როდესაც ზეინაბი თავის გულის ნადებს ჰშლის ოთარ-ბეგის წინაშე, სათეატრო დარბაზი აღფრთოვანებული ტაშს უკრავს ყოველს იმის სიტყვას და დიდს სიხარულს ეძლევა, მაგრამ ეს აღფრთოვანება და სიხარული ყალბი მელოდრამატიული სასცენო ეფექტია, რომელსაც შეცდომაში არ უნდა შევეყვანეთ. აღტაცება სათეატრო დარბაზისა აქ იმდენად ზეინაბის პიროვნებით არ არის გამოწვეული, რამდენადაც იმ ფიქრით, რომ იქნება იმის შემწეობით საქართველოს ერს ეშველოს რამე და მტარვალობას ბოლო მოეღოს. თვით ზეინაბი კი მესამე მოქმედებაში, ისე, როგორც მთელს პიესაში, იმდენად უცხო, დაუჯერებელი და წარმოუდგენელი ადამიანია, რომ ვერავითარ აღტაცებას ვერ გამოიწვევს.

თუნდაც ფსიხოლოგიურად ნამდვილი იყოს ზეინაბის პიროვნება, მაინც ვერ გავიგებთ, რისთვის მოისურვა ამან განმანთავისუფლებელ მოქმედების აქტიურად დაწყება სწორედ ამ მეოცე წელიწადს, რატომ ან ცოტა წინ არ დაიწყო, ან ცოტა უკან. თუ ოცი წელიწადი ითვალთმაქცა ზეინაბმა, ალბად, იმისთვის, რომ მოხერხებულს დროს ელოდდა რა მოხდა მერე იმ დროს, რომელსაც დრამა შეეხება, ასეთი ხელსაყრელი, რომ ზეინაბმა პირ-ბადე მოიხადა, კვლავინდელს გულ-ჩათხრობილობას თავი დაანება და პირდაპირ დაიწყო მოქმედება? ამას პასუხს „ღალატი" არ გვაძლევს; არ გვაძლევს, იმიტომ, რომ სადაც მთებში უვიცად აღზრდილი მეფე თეიმურაზისა და ზეინაბის შვილის დავაჟკაცება უმნიშვნელო გარემოებაა ისეთის მძიმე საქმისათვის, როგორიც არის პოლიტიკური განთავისუფლება, და გარდა ამისა თვით ეს დავაჟკაცება არც ერთს რომელსამე წელიწადს მოხდებოდა და არც ერთის წლის განმავლობაში დაჰკარგავდა მნიშვნელობას, რომ აჩქარება უთუოდ საჭირო. პირიქით, თუ ზეინაბის თვალში განთავისუფლების საქმისათვის დავაჟკაცებული ტახტის მემკვიდრე იყო საჭირო, ჯერ ნამდვილად უნდა დარწმუნებულიყო, რომ იმისი შვილი მართლა დავაჟკაცდა ზნეობით, ხასიათით, და ისე დაეწყო მოქმედება. იმ პირობებში-კი, რომელშიაც „ღალატი"ს მოქმედება სწარმოებს, ამ გარემოებას თუ რამე მნიშვნელობა ჰქონდა, მხოლოდ შემთხვევითი. პიესის დასაწყისში ისახარი ზეინაბს „ხალხის მოზღვავების" შესახებ ეუბნება; იქნება იფიქროს ვინმემ, რომ ეს ხალხის მოზღვავება ჰხვდა დროს ხელსაყრელად მოქმედებისთვისაო, მაგრამ ესეც შემცდარი იქნება. ხალხის მოზღვავებაზე მთელს პიესაში სულ ორიოდე სიტყვაა ნათქვამი და თვით ეს მოზღვავებაც კერძო და არა პოლიტიკურის ხასიათისაა. ისახარის სიტყვით, ხალხმა ამ კატასტროფის დასახსნელად მოიკრიბა თავი, რომელნიც სულეიმანის ბრძანებით სეიდაბადის უბანში მეჩეთის აგებაზე მუშაობდნენ. გარდა ამისა,

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2693.

ხედრო უწყების მიდამოებზე-და დარჩება და რადგან ამ მიწების ამოშრობასაც ქალაქის მიწების ამოშრობასთან დიდი კავშირი აქვს, ქალაქის მოურავმა სამხედრო უწყების წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ იმანაც დააჩქაროს ამოშრობა.

◆ ბათუმის ქალაქის მოურავი თ. ანდრონიკაშვილი გუშინ **სადარბაზოდ იყო მთავარმართებლის** თანაშემწეს მალამასთან.

◆ ტფილისის **საბჭოს შემდეგი კრება** დანიშნულია დღეს, 9 დეკემბრისთვის. საბჭომ უნდა განიხილოს წინა კრებაზე დარჩენილი საქმეები.

◆ 3, 4 და 5 დეკემბერს ბაქოში **ხოლერით ავად გახდა 2**, მოკვდა ორი კაცი. ბალახანაში ავად გახდა 7, მოკვდა 1. 4 დეკემბერს აჯიქაბულიდან ერთი ავადმყოფი მიიყვანეს ბაქოს ბარაკში. ამავე დღეს აჯიქაბულში ავად გახდა კონდუქტორის ცოლი. 5 დეკემბერს ემჩიაძინის სადგურზე ავად გახდა მეისრეს ცოლი. 6 დეკემბერს ერევნის შტოს მე-124 ვერსზე ავად გახდა გზის დარაჯი.

◆ როგორც სიღნაღიდან „ტიფ. დ."-ს ატყობინებენ, 2 დეკემბერს ათორზე თავის საკუთარ მამულში მოუკლავთ მაღართელი მემამულე ახალგაზრდა კაცი თადეოზ ნაცვლიშვილი მკვლელი ნაცვლიშვილისა მწყემსი ყოფილა, თათარი.

◆ სად. გროზნი (კავკავის რკინის გზა). 6 დეკემბერს აქედან წავიდა ყაზახთა პოლკი. წასვლის დროს, როდესაც ვაგონებში ჩასხდნენ, სროლა ასტეხეს როგორც წამსვლელებმა, ისე დარჩენილებმა. სხვათა შორის, ერთმა ურიადნიკმა გაისროლა რევოლვერი და შემთხვევით მოარტყა მახლობლად მდგომ ყაზახს. ექიმის შემოწმებით, ყაზახი საშიშოდ არის დაჭრილი.

◆ სად. საბუნჩა. 7 დეკემბერს, დილის 9 საათსა და 40 წ., პლატფორმაზე რევოლვერი გაისროლეს ორჯერ და დასჭრეს ორი მგზავრი. დაჭრილები ნავთის მწარმოებელთა საავადმყოფოში დააწვინეს. დამნაშავე შეიპყრეს.

◆ სიღნაღის მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა ამ თვის პირველ ნახევარში; 1. სოფ. გურჯაანში იოსებ ნაცვლიშვილმა ჩხუბის დროს სასიკვდილოდ დასჭრა ორ ადგილას თავისავე ერთ სოფლელი ისააკ გორძლიშვილი. 2. სოფ. ხირსასთან გაბრიელ ბაკურიძის მიერ იჯარით აღებულ საძოვარ ადგილებში ელდარის მცხოვრებთ შეურეკიათ საქონელი. როცა მოიჯარადრეს იგი გამოუყრია, მაშინ ერთ თათარს ისაბ-ნასი-ოღლის თოფი უსვრია და დაუჭრია ბაკურიძე; 3. სიღნაღ-ნუკრიანის გზაზე მიხა ხმალაძეს ჩხუბის დროს ალალო მაილოვთან დაუჭრია გულში დანით უკანასკნელი; 4. სოფ. კოლაქში ადგილობრივ გლეხებს რიცხვით 10—12 კაცს ჩხუბი მოსვლიათ ერთმანეთში. ჩხუბის დროს ხანჯლით მძიმედ დაჭრილა ზურგსა და თავში ივანე მინდორაშვილი; 5. სოფ. ნანიანში გაუქურდავთ თავადი ზაქარია ანდრონიკაშვილი; 6. სოფ. ტიბაანში ადგილობრივ მცხოვრების მიხაკო გურაშვილის შვილს ნიკოლოზს ჩუმად რევოლვერი ამოუღია სკივრიდან, წვალების დროს გავარდნილა, მოხვედრია იმის 4 წლის ძმას და მოუკლავს.

◆ სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა მოხსენება წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას სასწავლებლის სახეინკლოს გაფართოების საჭიროების შესახებ. დირექტორის აზრით, სადურგლო განყოფილებას უნდა ერთი ნაწილი ჩამოეცალოს და მიემატოს სახეინკლოს. ამ უკანასკნელ განყოფილებაში უნდა დაიდგას კიდევ რამდენიმე დაზგა. ყოველ წლობით სახელოსნო სასწავლებელში უნდა მიღებულ იქმნას 70 მოსწავლე, აქედან 41 სახეინკლოში, 15 სადურგლოში და 14 ლითონების ჩამოსასხმელ განყოფილებაში.

◆ დუშეთის მაზრაში თავ. გიორგი ბაგრატიონ მუხრანსკისათვის ვიღაც ქურდებს მოუპარავთ 200 მანეთიანი ცხენი. ეს ამბავი უცნობებია მუხრანსკის ტფილისის პოლიციისათვის, რომელსაც ცხენის ქურდი აღმოუჩენია პოლიციის მე-6 ნაწილში. ქურდი აღმოჩნდა ტფილისის გუბერნიის მცხოვრები აბდულ-ალი ხალი-ოღლი, რომელიც დააპატიმრეს ცხენიანად. ცხენი პატრონს დაუბრუნეს.

◆ სოფ. ახმეტაში (თიანეთ. მაზრა) ადგილობრივმა მცხოვრებმა გიო ონიაშვილმა ჩხუბის დროს სასიკვდილოდ დასჭრა ხანჯლით დუფლოფლის მცხოვრები მიხეილ სურნოშვილი.

◆ ტფილისის გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის იარაღის ტარების შესახებ 25 მანეთით დააჯარიმა ქ. ახალქალაქის მოქალაქენი აკოფ ჩილინგაროვი და არმაღუის არუთინოვი; 15 მანეთით სოფ. შუნჩხელის მცხოვრები მაქსიმ ქართველიშვილი, ხოლო ერთის თუმნით სოფ. ბანხოს მცხოვრები მარტიროს გევორქოვი.

◆ დუშეთის მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა პირველ დეკემბრამდის: 1. სოფ. ბულაჩაურში ვიღაცები დასცემიან ამ სოფლის მცხოვრებს თედო გიტიაშვილს, გაუქურდავთ იგი და მძიმედ დაუჭრიათ; 2. სოფ. მუხრანში ამ სოფლის მკვიდრნი სოიკა და ვანო მეგაბაშვილები, გიორგი ნასყიდაშვილი და სხვები თავს დასხმიან თავად მუხრან-ბატონის სახლს და იმის მოჯამაგირეებისთვის უცემიათ; 3. სოფ. ხორნის მცხოვრებლებმა გაბრიელ წიკლაურმა და ივანე აფციაურმა საქართველოს სამხედრო გზაზე გაქურდეს შიდა რუსეთიდან მომავალნი: მიხეილ სვირიდოვი, დიმიტრი ნოსკოვი და ილია კალინა.

◆ ინჟინერმა ჩახმახსაზიანცმა გუშინ შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ პაპკოვისეულ სახლისა და ადგილის სანიტარულ მდგომარეობის დასაცველად საჭიროა არხის გაყვანა მტკვრამდე.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში, მეჩეთის ქუჩაზე, ვიღაცებს გაუტეხიათ ტფილისის მეორე გილდის ვაჭრის მაშადი-მაჰმედ ალიევის მაღაზია და გაუტანიათ ფულად 200 მან. ქურდებს გაუტეხიათ აგრეთვე ყუთი და წაუღიათ 2000 მანეთზე მეტის თამასუქები.

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 277**. შინაარსი: „ნიშანი", ვ. გარშინისა, თარგმანი ინ—კანისა; სურათები: შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი **ნ**. ნ. კუტლერი, კაპ. დ. დ. არდაზიანი, იაპონელთა მიერ გადარჩენა რუსის მეზღვაურთა იმ ადგილას, სადაც გემი „რიურიკი" დაიღუპა, შავი ზღვის დობრ. ფლოტის გემის გასვლა დარდანელის სრუტეში, იაპონელი სალდათები ისვენებენ სანგრებში პორტ-არტურის წინ, სათეატრო წარმოდგენა იაპონელთა ჯარში და კარიკატურა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 4 ნოემბერს ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრნი კიდევ შეიკრიბნენ სათათბიროდ ქალაქის გამგეობის დარბაზში. ხმის უმეტესობით დაადგინეს: საზოგადოებამ იკისროს სამინისტროს მიერ აღნიშნულ ზარალის დაფარვა ამგვარად: ორი თვის განმავლობაში შეიტანოს 10%, დანარჩენი 17% კი გადაიხადოს სამ ნაწილად: 6% ნახევარი წლის განმავლობაში, მეორე 6% ერთი წლის განმავლობაში და უკანასკნელი 5%-იც თერთმეტ თვეში. ტ. გაბუნიამ წინადადება მისცა კრებას, რადგან საზოგადოების უმეტესობამ რუსული არ იცის და ბევრი ვერც ესწრება საზოგადო კრებას, საჭიროა 5 დეკემბრის საგანგებო კრების ოქმი დაიბეჭდოს ქართულად და დაურიგდეს წევრებს, რომ ყოველმა წევრმა იცოდეს კრების დადგენილებანი და თავისი მოვალეობა საზოგადოების წინაშე. ბანკის თავმჯდომარის კანდიდატად ისევ ასახელებენ თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძეს, დირექტორებად თავ. ნ. დ. ერისთავს და გ. იკოფოვს (წინა კრებაზე რ. ყ. დათეშიძეს ასახელებდნენ). ბ-ნს იკოფოვს ქუთათური საზოგადოება ძლიერ კარგად იცნობს, როგორც პატიოსანს და შრომის მოყვარე კაცს. ბ-ნი იკოფოვი ნაფიცი ვექილია. წინად გამომძიებლად იყო, მაგრამ სახელმწიფო სამსახურს თავი დაანება და ეს ათი-თერთმეტი წელიწადია ქუთაისის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების თავმჯდომარეა და კარგადაც მიჰყავს საზოგადოების საქმე. რაც შეეხება ბ-ნს დათეშიძეს, საზოგადოება უმჯობესად სცნობს მას ბუხჰალტერის ადგილი მისცეს ბანკში.

◆ გუბერნატორმა დაამტკიცა თანამდებობაზე ქალაქის გამგეობის წევრად არჩეული გ. ი. გველესიანი.

◆ ქალაქის საბჭომ დაადგინა, მომავალ წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანოს 4000 მანეთი სალორიის აგარაკში საბაღედ დატოვებულ ადგილის თხრილითა და ეკლიანის მავთულით შემოსაკავებლად, მიწის გადასაბრუნებლად, ხეივნების გასაკეთებლად და მცენარეების დასარგავად. ქალაქის გამგეობას განუზრახავს ეხლავე შეუდგეს საქმეს და მიწა გადააბრუნებინოს, რადგან ზამთრის თოვლი და ყინვები გადაბრუნებულ მიწას ძლიერა რგებს.

◆ 3 დეკემბერს აკურთხეს ადგილობრივ სავაჟო გიმნაზიის ახალი ეკკლესია. წირვას დაესწრნენ სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, იმისი თანაშემწე ბ-ნი სლავინსკი, საპატიო სტუმრები და დიდძალი საზოგადოება.

ქალაქის გამგეობა

7 დეკემბერი

თუმცა ტფილისის ქალაქის ახალი მოურავი ვერმიშევი 7 დეკემბერს შეუდგა თანამდებობის აღსრულებას, მაგრამ ამ დღეს საბჭოს სხდომაზე მონაწილეობას არ იღებდა, რადგან იგი, რუსები რომ იტყვიან, იყო „не въ курсѣ дѣла." საბჭოს თავმჯდომარეობდა მოურავის მოადგილე თავ. ჩერქეზიშვილი. ხმ. ფირალოვმა მიმართა გამგეობას: საბჭოს დადგენილებით გამგეობას 2 კვირის განმავლობაში უნდა წარმოედგინა მოხსენება უსახელო საზოგადოების იმ შუამდგომლობის გამო, რომელიც საელექტრონო სადგურამდე ნავთის მილის გაყვანას შეეხება; შეგვატყობინეთ, როგორ არის საქმეო. ხმ. ზაზოვმა სთქვა, ამ საქმის შესახებ კომისიას რამდენჯერმე ჰქონდა სხდომა, დამატებით ცნობების შეკრება იყო საჭირო და მოხსენებას მალე წარმოავდგენთო. კამათი გამოიწვია ხმ. ვართანოვის შენიშვნამ, ქუჩები არა სუფთავდება და ყურადღების მიმქცევიც არავინ არისო. ხმოსნებმა მოითხოვეს; თუ გამგეობას სხვა საშუალება არა აქვს-რა, გუბერნატორს მაინც სთხოვოს, რომ პოლიციამ აიძულოს მეეზოვენი და შეასრულებინოს მოვალეობაო.

დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა შემოსავლის აღრიცხვის დამთავრებას. კამათი გამოიწვია მე-VI პარაგრაფის 21 მუხლმა სადეზინფექციო კამერის შემოსავლის შესახებ. ხმოსანთა უმრავლესობამ მოითხოვა დეზინფექციისათვის გადასახადი სრულიად მოისპოს. თავმჯდომარემ ნება მისცა და ხმოსნებმაც გული იჯერეს ბევრის ლაპარაკით გამორკვეულ და ყველასათვის ცხად საკითხის გამო. ბოლოს საბჭომ დაადგინა, სადეზინფექციო გადასახადი მოისპოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გადამდებ სენით ავადმყოფთა სახლებს გაუკეთებს დეზინფექციას. დანარჩენ მუხლებს ამ პარაგრაფისას კამათი არ გამოუწვევია. ქალაქის ლაბორატორიისა, საასენიზაციო ობოზისა და სხვა დაწესებულებათა შემოსავალი მოსალოდნელია 518.750 მან. აქედან 60,000 მანეთის შესახებ, რომელიც მოსალოდნელია ქალაქის დუქნებისაგან, საბჭომ გამორიცხა, რადგან დუქნების შესახებ საბჭომ ცალკე უნდა განიხილოს მოხსენება. ლომბარდისაგან მოსალოდნელია 15,200 მან., შემწეობას ქალაქი მიიღებს ხაზინისაგან 65,965 მან., არხების გასამართავად ქალაქს შემოუვა 2300 მან. მე-7 პარაგრაფით ქალაქს შემოსავალი ექნება 132,758 მან. მე-8 პარაგრაფის განხილვის დროს კამათი გამოიწვია ჯარიმების შემოსავალმა. წარსულ წელს ჯარიმებისა ქალაქს შემოსვლია 28,610 მან.; მომავალ წლისათვის გამგეობა ანგარიშობს სულ 24,600 მან., მეტი არ არის მოსალოდნელიო. ხმ. ხატისოვმა სთქვა, რომ გამგეობა არაფერს აკეთებს დროზე გადასახადების მოკრებისთვის. მრავალი [illegible] გვყავს, ამათში ბევრნი შეძლებულიც არის და გამგეობამ-კი ერთხელაც არ დანიშნა საჯარო ვაჭრობა იმათ სახლების გასასყიდად, ვისაც შეძლება აქვს დასაფასებელ გადასახადის დროზე გადახდისა და არ იხდის-კი. ყოფილმა ქალაქის მოურავმა თავ. არგუთინსკიმ სავაჭრო საბეურნეო პოლიციის აგენტებს მოსთხოვა, გადასახადები უსათუოდ მოჰკრიბეთ, თორემ ყველას სამსახურიდან დაგითხოვთო და საქმე მართლაც კარგად წავიდა. შემდეგ გადასახადები ხელ-ახლად შეფერხდაო. თავ. ჩერქეზიშვილმა სთქვა, შეუძლებელია იმ საშუალებათა მიღება, რაც ხმ. ხატისოვმა დაასახელა. საჯარო ვაჭრობა მთავრობის ნებართვით უნდა დაინიშნოს და ამას მთელი ხუთი წელიწადი მოუნდება. რაც შეეხება გადასახადების მოკრებას, 1903 წელს მიღებულ ზომებმა ისე შეაწუხა მცხოვრებნი, რომ მომავალ ორ წელსაც გაუჭირდებათ წელში გასწორებაო. საბჭომ მიიღო ხმ. ხატისოვის წინადადება და აღრიცხვაში 24,600 მ. ნაცვლად 28,610 მან. შეიტანა. სულ ქალაქის შემოსავალი მოსალოდნელია 1,567,111 მან. შემოსავლის აღრიცხვის განხილვა საბჭომ ამ საღამოს დაასრულა.

პრესსა

გაზეთ „რუს"-ის სამხედრო კორესპონდენტი, ნ. კირილოვი, იუწყება, მანჯურიის არმიაში კარგ შთაბეჭდილებას ახდენს რუსეთიდან მოსული ამბებიო. მთელს რუსეთში,—სწერს ბ-ნი კირილოვი,

> მწყობრად ისმის მაღალი გალობა სინათლესა და გაზაფხულზე; გალობა აღტაცებულია და გამამხნევებელი. და ეს ადვილი გასაგებია: მეტად დავიღალეთ და დავიტანჯეთ ხანგრძლივ ზამთრისა და სიბნელისაგან... ადვილად გასაგებია ჩვენი ძლიერი და თავშეუკავებელი სიხარული. ჩვენ გვინდა თავისუფლად ამოვისუნთქოთ ხანგრძლივ მოთმენისა და წვალების შემდეგ, გაცრუებულ იმედებისა და ტყუილ უბრალო მოლოდინის შემდეგ. ეხლა ჩვენ სიხარულით, იმედებით, მხნედ ვეგებებით ახალსა და სპეტაკ ხანას. როგორც ხედავთ, ჯერ გაზაფხული არ დაწყებულა, ჯერ ახალი დღე არ გათენებულა, მხოლოდ ირიჟრაჟებს, მხოლოდ ნიშნებია ახალის ხანის მოახლოვებისა, სიხარულის ტალღა-კი აბობოქრდა და ძლიერი სიმღერა გაისმა მთელს ჩვენს დიდს იმპერიაში.
>
> უნდა ნახოთ, როგორ მოუთმენლად მოელიან აქ, მანჯურიაში, ამ განახლების ამბებს, როგორის სიხარულით ისმენენ მთელს არმიაში ცნობებს „გაზაფხული-ს შესახებ? არიან, რასაკვირველია, პესსიმისტები, რომელთაც არ სჯერათ, რომელთაც ეშინიათ დაჯერება და შემდეგ ჩვეულებრივს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა. მაგრამ უმეტესობამ დაიჯერა და მხნედ ეგებება ხვალინდელ დღეს, როცა უნდა გამართლდეს იმედები და დიდის ხნის მოლოდინი... ყველას შეგნებული აქვს, რომ დროა განახლება მოხდეს, დიდი ხანია დროა, უკან დაბრუნება შეუძლებელიაო: ეს დადაღუპვა იქნება და სრული ჩვენი გაკოტრება. და ეს ყველაფერი ესმისთ არა მარტო უფროსებსა და აფიცრებს, არამედ ჯარისკაცთაც. საქმე ის არის, რომ ჩვენი არმია წინანდელი აღარ არის, ის არ არის, რაც 30 წლის წინად იყო, მაგალითად. უკანასკნელ წლებში რუსეთში ბევრი რამ გამოიცვალა. დიდი ხანია უკვე საზოგადოებრივი თვითცნობიერება მუშაობს არა მარტო ინტელიგენციასა და საზოგადოებაში, მდაბიო ხალხშიაც, ხოლო გამოცვლილ რუსეთს, რასაკვირველია, ფერ-შეცვლილი არმიაც გაუჩნდა, განახლებული არმია. ამიტომაც ცნობები და ამბები, რომელიც ეხლა მოდის აქ, მანჯურიაში, რუსეთიდან, მშვენიერს შთაბეჭდილებას ახდენენ ყველაზე, ამხნევებენ და იმედს უღვიძებენ, უძლიერებენ არმიას.

⁂

თავ. მეშჩერსკი გამწარებულია: ეს რა ამბები ხდება, რა დღეს მოვესწარითო; ვიღაც გაგიჟებულმა ელემენტებმა წამოჰყვეს თავი და სულელურს განგაშს მიეცნენ; ბრძენნი და დარბაისელნი-კი გაჩუმდნენო. ვიხრჩვები ამ ატმოსფეროში, სული მეხუთება—მიშველეთო!.. საბრალო თავადს ვერაფერი ვერ აწუგეშებს: მეუბნებიან, ფიქრი ნურაფრის გაქვსო, ყველაფერი ძველებურად დარჩებაო; მაგრამ ეს განგაში რო ძლიერდება და ხმას რომ არავინ სცემს,—ეს რაღა არისო?!.

> ათის დღის წინად,—განაგრძობს თავადი,—ერობის ვიღაც არამკითხე წარმომადგენელნი შეიკრიბნენ პეტერბურგში, ოთხი დღე იჯდნენ და შემდეგ წარსდგნენ შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე მოთხოვნით—ეხლანდელი პოლიტიკური წესწყობილება უნდა დაირღვესო. 601 კაცი შეგროვდა პეტერბურგში; გამართეს ნადიმი და დაადგინეს—ეხლანდელი წესწყობილება უნდა დაიმხოსო და არავინ არ დაუშალა ასეთ მოთხოვნის გამჟღავნება. რამდენისამე დღის შემდეგ ამავე მოთხოვნას იმეორებს ქუჩებში შეგროვილი ხალხი—სტუდენტობა და მუშები. შემდეგ, უნივერსიტეტის მთავრობა საქვეყნოდ აცხადებს, ჩვენ კიდეც წარვუდგინეთ მთავრობას მოთხოვნა პოლიტიკურ წესწყობილების შესახებაო და ამასთანავე სთხოვს სტუდენტებს მშვიდობიანობა დაიცავით,—სთხოვს იმიტომ კი-არა, რომ კანონიერების დამცველად გამოდის, არამედ იმიტომ რომ: უნდა ვაცალოთ მთავრობას—თვითონ დაამხოს ეხლანდელი წესწყობილებაო. ბოლოს, დღეს პეტერბურგისა და მოსკოვის ნაფიც ვექილთა „კავშირი" მიდის მინისტრთან და ამბობს, უნდა დაიმხოს რუსეთის დღევანდელი წესწყობილებაო!... აი, რა ამბები ხდება სულ 2—3 კვირის განმავლობაში და კაცი არ არის ხმა ამაღლოს, რათა შეაჩეროს ეს სიგიჟე, ეს განსაცვიფრებელი განგაში!...

შემდეგ თავ. მეშჩერსკი მიჰმართავს „გონიერ და დარბაისელ" რუსთა და ურჩევს მათ—დროა ჩვენც შევერთდეთ, ამოვიმაღლოთ ხმა და მოვითხოვოთ კანონიერებისა და წესის დაცვაო. ბოლოს, თავ. მეშჩერსკი ასე ათავებს თავის გრძელ სტატიას:

> მე პროტესტს ვაცხადებ დღევანდელ განგაშის წინააღმდეგ, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ არ მწამდეს ევროპის კონსტიტუციების კეთილი მხარეები და კეთილი ნაყოფი; არამედ იმიტომ, რომ მეცა და მრავალ სხვა რუსთ გვინდა, ეს სიკეთე თვითონ თვითმპყრობელ ხელმწიფისაგან მივიღოთ: მარტო მას შეუძლია გვაჩუქოს ეს სიკეთე, მარტო მას ძალუძს მიანიჭოს თავის ხალხს უფლებანი.

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება

5 დეკემბერს საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. ეტყობოდა, საზოგადოება ძლიერ დაინტერესებული იყო დღევანდელის კრებით. აქა-იქ იდგა ჯგუფები, რომელნიც ცხარედ კამათობდნენ ბანკის საქმეებზე. ჯერ კრება კიდევ არ დაწყებულიყო, ხალხს-კი აღელვება ეტყობოდა. დარბაზის შესავალში, კიბის შუა მოსახვევზედ, იდგა სტოლი, რომლის გარშემო ისხდნენ ბანკის დირექტორი მ. ნ. ქუთათელაძე, ბოქაული მახარაძე, უბნის ზედამხედველი და ორიც ბანკში მოსამსახურე პირი. სტოლზედ ელაგა სიები, რომლებზედაც ხელი უნდა მოეწერათ დარბაზში შემსვლელ საზოგადოების წევრთ. ასეთი სიები იყო სულ ცხრა ნომერი. მალე საზოგადოებაში რაღაც ჩოჩქოლი და საყვედურების ხმა გაისმა; თხოულობდნენ კრების დაწყებას. დ. ნ. აბდუშელიშვილი (საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი, რომელმაც თავმჯდომარის დაუსწრებლობის გამო წესდების ძალით უნდა გახსნას კრება) მოახსენებს საზოგადოებას, კრება რომ კანონიერად ჩაითვალოს, საჭიროა საზოგადოების წევრთა ერთი მესამედი მაინც გამოცხადდეს, ე. ი. 500 კაცზე მეტი (სულ 1575 წევრი ჰყავს საზოგადოებას). ჯერ-კი ამდენი წევრი არ გამოცხადებულაო. საზოგადოება არ კმაყოფილდება ასეთის განმარტებით და თხოულობს სიების გასინჯვას. სიებიც მოაქვთ; მხოლოდ ორი ნომერი, მეშვიდე და მერვე არა სჩანს. შეიქმნება ყვირილი, გამგეობამ განგებ გადამალა სიებიო. აღმოჩნდა, რომ ეს ორი ნომერი ისევ სტოლზედ ეწყო და შემომსვლელნი ხელს აწერდნენ. ეს ნომრებიც გასინჯეს და ხელმოწერილი აღმოჩნდა 443 კაცი. კიდევ მეტი ყვირილი შეიქმნება; საზოგადოებას ეჭვი შეაქვს გამგეობის მოქმედებაზე: ხუთას კაცზე მეტია გამოცხადებული, მაგრამ სიებზე განგებ არ მოაწერინეს ხელი, რადგან კრების გადადება სურთო. ბ-ნი აბდუშელიშვილი სცდილობს კრების დამშვიდებას, მაგრამ ვერ ახერხებს. კრების სურვილით ხელმეორედ შეუდგებიან წევრთა თვლას. აღმოჩნდება, რომ საზოგადოების რიცხვი კიდეც შემცირებულა, სულ 391-ია. საზოგადოება არც ამით კმაყოფილდება და დაჟინებით თხოულობს კრების დაწყებას. თავმჯდომარედ ასახელებენ დ. ბ. კვირკველიას და ს. დ. ჯაფარიძეს. ეს უკანასკნელი უარს აცხადებს. ბ-ნი კვირკველია შედგება თავმჯდომარის სავარძელზე და მოახსენებს კრებას: „ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ კრებას, მაგრამ არა როგორც თავმჯდომარემ, არამედ როგორც კერძო კაცმა, ამ საზოგადოების ერთმა წევრმა. მესმის, თავმჯდომარედ მასახელებენ, უთუოდ მისთვის, რომ მიუდგომლად, კანონიერად მოვიქცე. დღევანდელი კრება დიდმნიშვნელოვანია. წესდების ძალით მე არ შემიძლიან თავმჯდომარეობა ვიკისრო, სანამ ბ-ნი აბდუშელიშვილი არ გახსნის კრებას და არ გამოაცხადებს მის კანონიერობას. მე ასეთი მრავალ რიცხვოვანი კრება ჩვენი საზოგადოებისა არასოდეს არ მინახავს. საჭიროა მოვსთხოვოთ თავმჯდომარეს, რომ კრება გახსნას." ამ სიტყვებით ბ-ნი კვირკველია სავარძლიდან ჩამოდის. ყვირილმა იმატა. საბჭოს თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას, თუ გსურთ, კიდევ შევამოწმოთ რიცხვი საზოგადოების სიის წაკითხვითო. კრება ყვირილით უარს აცხადებს. ბ-ნი კალატოზოვი ურჩევს კრებას საქმის გასაადვილებლად პირველ სიაში აღნიშნულ გვარებს მიუმატონ ის გვარები, რომელნიც მხოლოდ მეორე სიაშია ხელმოწერილი. საზოგადოება არც ამ წინადადებაზე თანხმდება და თავისას გაიძახის: კრება კანონიერია და გახსენითო." ასეთი უნაყოფო ყვირილი ღამის 11 საათამდის გაგრძელდა. 11 საათზე-კი საზოგადოება იძულებული გახდა დაშლილიყო. წესდების ძალით კრება მოხდება 19 დეკემბერს. ეს კრება-კი, როგორც გადადებული, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

რუსეთის ქრონიკა

◆ „ნოვ."-ი იუწყება, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ისევ ნება დართო პეტერბურგში ეკონომიურ მეცნიერების მკვლევართა ჯგუფს სამეცნიერო მოხსენებათა კითხვები გამართონ, რაიცა მინისტრის პლევეს მიერ აკრძალული ჰქონდათ.

◆ ტვერის ქალაქის საბჭომ ერთხმად გადასწყვიტა იშუამდგომლოს შინაგან საქმეთა მინისტრთან, რათა მოწვეულ იქნას კრება ქალაქის მოურავებისა და ქალაქის თვითმართველობათა წარმომადგენლებისა.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო 13 დეკემბერს მოიწვიონ მოსკოვის საგუბერნიო საერობო კრება.

◆ მოსკოვის უნივერსიტეტში ბოტანიკის ცნობილ პროფესორის ტიმირიაზევის ლექციაზე ამას წინად თავი მოუყრია 1500-მდე სტუდენტს სხვა-და-სხვა ფაკულტეტიდან. სტუდენტებმა პროფესორს მრავალთაგან ხელმოწერილი ადრესი მიართვეს, რომელშიაც მადლობას უცხადებდნენ იმის გამო, რომ ტიმირიაზევმა პირველმა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორთა შო-

---

თვითონ ზეინაბს წარმოდგენილიც კი არა აქვს ხეირიანად, რა ხალხი უნდა მოზღვავებულიყო, განცვიფრებულია ისახრის სიტყვებით და მოულოდნელის სიხარულით აღტაცებული კითხულობს „ვინ არის ეს ხალხი-"ო. ეჭვს გარეშეა, ვერც ამ ფაქტით აიხსნება ზეინაბის მიერ მოქმედების სწორედ ამ დროს დაწყება.

საქართველოს განთავისუფლება პიესაში უფრო სასცენო ეფექტია, ვიდრე დრამატიულად შემუშავებული და ისტორიულად მომზადებული ფაქტი. თვალის წარმტაც და სიხარულის მომფენ სურათად ეჩვენება სათეატრო დარბაზს მეტეხის აფეთქება, მაგრამ ვინ და რომელი ძალა ამხობს სულეიმანის მტარვალობას—ეს, ჩვენის ფიქრით, გამოურკვეველი რჩება; გამოურკვეველი—იმ აზრით, რომ მარტოოდენ ზეინაბი თავის მაღალ ფარდოვანის დატატით ვერაფერს გახდებოდა; თუ შემთხვევით ოთარ-ბეგს თავისკენ გადიბირებდა, საფიქრებელია, სხვა ვინმე გამცემელი აღმოჩნდებოდა და საქმე სულ ერთიანად დაიშლებოდა. იმისთანა საქმეში, რომელიც ზეინაბმა განიზრახა, აუცილებელი საჭიროებაა თვით ხალხის ცნობიერი და შეგნებული მოქმედებათა. სუმბათაშვილი რამდენჯერმე, სხვა და სხვა ადგილას, ალაპარაკებს გმირებს ხალხის შესახებ, მაგრამ პიესაში ხალხს მაინც ვერსად ვხედავთ უკანასკნელ მოქმედებამდე, როდესაც საქმე უკვე აღსრულებულია და მხოლოდ სცენის დასამშვენებლად არიან საჭირო ხალხიდან გამოსული მებრძოლნი თავისუფლებისა.

„დალატის" დანარჩენ მომქმედ პირებზე ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ამ პიესის შესახებ დღემდე დაწერილ წერილებში საკმაოდ ნათლად არის გარკვეული მათი ხასიათი. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მოქმედება დათოსი, ერეკლისა, ანანიასი, გაიანესი, რუქაიასი და სხვებისა, სასცენო ეფექტებით არის სავსე, და ფსიქოლოგიურად კი სუსტად არის გარკვეული.

საერთო შთაბეჭდილება „დალატისა", ჩვენის ფიქრით, ბევრით არაფრით არჩევა ჩვენის სცენისათვის აქამომდე დაწერილ და შემუშავებულ ისტორიულ დრამების შთაბეჭდილებისაგან. იქნება, რუსეთის საზოგადოებისთვის ახალი იყოს სცენაზე ეროვნულ თავისუფლებისთვის ბრძოლის სურათები, მაგრამ ჩვენთვის ეს სცენები უკვე ძველი სურათებია. როგორც „სამშობლო", „დაძმა" და სხვები, „დალატიც" უმთავრესად ყალბ სასცენო ეფექტებზეა აშენებული, ყველგან ისტორიული სიმართლე სუსტობს და ბევრი ფსიქოლოგიური უსწორ-მასწორობაა. ისტორიულ სიმართლის მხრივ „დალატმა" ჩვენს შინაურს დრამებს გადააჭარბა კიდეც იმ წრეს გადაცილებულის გაბედულების გამო, რომელიც თავ. სუმბათაშვილმა გამოიჩინა დრამის წინასიტყვაობაში გამოთქმულის განზრახვით, ერთს დრამატიულ ლეგენდაში ისტორიულ საქართველოს მრავალ საუკუნოიან ცხოვრების საერთო ხასიათი და სული დაეხატა. მიუხედავად ამ ნაკლულევანებათა, „დალატის" ზოგიერთი სცენები საუცხოვო ხელოვნებით არის დაწერილი და, როგორც წინადაც აღვნიშნეთ, ნამდვილს ესტეტიურს სიამოვნებას გვაგრძნობინებს.

ქართული ისტორიული პიესა, ქართული ისტორიული დრამა ჩვენის სცენისა და დრამატიულ მწერლობისთვის მე-80-ე წლებიდან მოყოლებული დღემდე სანატრელი საგანია. ჩვენის აზრით, ნამდვილად ქართული ისტორიული დრამა მხოლოდ მაშინ დაიწერება, როდესაც ჩვენი ისტორიკოსები მთელს თავის მოღვაწეობას გოჯებით ფოლიანტების გაზომას არ შეალევენ და ჩვენის წარსულის ცხოვრების შინაგან მხარესაც მიაქცევენ რამდენსამე ყურადღებას. უამისოდ ჩვენ ისტორიულ დრამას ვერ ვეღირსებით.

ზანგი.

რის გასცა პასუხი რუსეთის საზოგადოების დღევანდელ საერთო მისწრაფებას და დასწერა წერილი „აკადემიურ თავისუფლების შესახებ“.

◆ მოსკოვში პიროგოვის საზოგადოების ექიმთა კრება მოხდა, რომელზედაც ექიმმა მილკევიჩმა საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა, იწვევდა დამსწრეთ ცოცხლად დაუხვდნენ დღევანდელ საყურადღებო მომენტს რუსეთის ცხოვრებაში და მონაწილეობა მიიღონ იმ პროგრესიულ მოძრაობაში, რომელმაც ყველგან იჩინა თავი. მილკევიჩის აზრით, პიროგოვის საზოგადოებამ უნდა ითავოს მთელ რუსეთში ექიმთა კრებების მოწვევა, რათა ექიმებმაც გამოსთქვან თავიანთი აზრი დღევანდელ საჭიროებათა და მისწრაფებათა შესახებ. დამსწრე ექიმებმა ერთხმად თანაგრძნობა გამოუცხადეს ორატორს და შემდეგ დასკვნას დაადგნენ: შეუერთდნენ რუსეთის საზოგადოების სხვა და სხვა პროგრესიულ ჯგუფების მიერ გამოთქმულ აზრს საჭირო რეფორმის შესახებ და შესაფერის რეზოლიუციით მიმართონ მთავრობას.

◆ პეტერბურგში ამ ჟამად იმყოფება ხერსონის გუბერნიის ებრაელთა 22 ახალ შენის მიერ გამოგზავნილი დეპუტაცია. როგორც ამას წინად გამოცხადებული იყო, ებრაელთა ახალშენები, რომლებშიაც 40 ათასამდე მიწის მუშა ებრაელი ცხოვრობს, მიწათ-მოქმედების სამინისტროდან შინაგან საქმეთა სამინისტროში გადასცეს და ამ ჟამად დეპუტაცია შუამდგომლობს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა მოწესრიგებულ იქნას მოახალშენეთა მიწის საკუთრება და ებრაელ მოახალშენეთ რუსის გლეხებთან თანასწორი უფლებანი მიენიჭოთ.

◆ სარატოვის გუბერნატორმა ოფიციალურად გამოაცხადა მცხოვრებლების საყურადღებოდ, რომ გაძლიერებულ დაცვის წესების თანახმად აკრძალულია ქუჩებსა და კერძო სადგომებში ყოველნაირ კრებების გამართვა. ამ წესის დამრღვევნი დაისჯებიან 3 თვით დაპატიმრებით და 500 მან. ჯარიმით. გუბერნატორის განცხადებაში ნათქვამია აგრეთვე, რომ სარატოვში ამ ბოლო დროს გახშირდა ამგვარ კრებების გამართვა, რომელზედაც სჯა-ბაასი აქვთ რუსეთის სახელმწიფო წეს წყობილების შესახებ.

◆ ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორმა განცხადებით მიჰმართა სტუდენტებს, აფრთხილებს უკანონო ნაწერებისა და პროკლამაციების გამავრცელებელთა წინააღმდეგ და ამბობს: სტუდენტები, რომელთაც აკრძალულ ნაწერებს უნახავენ, კანონის მოთხოვნილებისამებრ, სასტიკად დაისჯებიანო.

◆ ფინლიანდიის სეიმის გახსნის დროს არქიეპისკოპოსმა იოჰანსონმა საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ღრმად გამოხატა, რაგვარი დაუღალავი, დინჯი შრომის, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მედგარ მისწრაფების შედეგია ფინლიანდიის დღევანდელი წეს-წყობილება, რომელიც, სამწუხაროდ, შერყეულ იქმნა ბოლო წლებში მთავრობის მიერ გამოცხადებულ კანონებით.

ქართული საღამო მოსკოვში

28 ნოემბერს „კეთილშობილთა საკრებულოს“ დარბაზები არა ჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა. გაჩირაღდნებული დარბაზები მორთული იყო მცენარეებითა და ხალიჩებით, დეკორაციები წარმოადგენდა უზარ-მაზარ მთებს და მინდვრებს საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებისას. ამ საღამოს მოეყარა თავი მთელ მოსკოვის ქართველობას, რომლის უმეტესობასაც შეადგენს მოსწავლე ახალგაზრდობა. თავ. ალ. სუმბათაშვილი ჰმართავდა ჩვეულებრივ ქართულ საღამოს. აუარებელი ხალხი, რომლის ტევა აღარ იყო ამ უზარ-მაზარ დარბაზებში, აღტაცებით არჩევდა უცხოდ ქართველ მოსწავლე ახალგაზრდას, გამოწყობილს ჩოხა-ახალუხში და ლეჩაქ-თავსაკრავში. ეჭვს არ იყოს, მათი მოღიმარე სახე ნათლად ამტკიცებდა, რომ ისინი უნდა ყოფილიყვნენ ამ საღამოს მასპინძლები. წლეულს ახალგაზრდობამ ძალიან იჩინა თავი უხვის მასპინძლობით. მოიწვია გამოჩენილი მომღერალნი და მკითხველნი, გამართა მშვენიერი დეკორაციები, კარები ხალიჩა—ფარჩეულობით მორთული, მცენარეები და სხვა მოწყობილებანი. ესტრადა წარმოადგენდა მეტეხის ციხეს ძირს მიმდინარე მტკვრით. უკანა კედელი ციხის სურათი იყო. ორივ მხრივ ამართული იყო სახლები, რომლის კედეთა შორისაც ზანტად მიიზლაზნებოდა ზარმაცი, გულ-ჩახვრეტილი და მდუმარე მტკვარი. დახატული ადგილი ძლიერ მიაგვანებდა ავლაბრის ხიდის მიდამოს, სადაც მტკვარი ივიწყებს თავის სიზანტეს, თითქოს ცოცხლდება, და ბავშურის სიცელქით ებრძვის სალ კლდეებს და იმათ კალთებს უხვად აპკურებს თავის ქაფად ქცეულს ზვირთებს. მარჯვენა კლდეზედ ამართული ციხე ეკკლესიით მედიდურად გადაჰყურებდა ირგვლივ მიდამოს. შორს, შორს მოსჩანდა მთა თოვლით დაფენილ მწვერვალებით. გვერდის დეკორაციებზე დახატული იყო ერთის მხრივ კლდე, მეორეს მხრივ—ქოხი, ბანით დახურული და ირგვლივ ღობით შემოვლებული. ეს უკანასკნელი დიდის სიმართლით იყო გადაღებული.

დარბაზში, რომელსაც ეკატერინე დიდის სახელი ეწოდება, ამართული იყო ორი კიოსკი: ერთი—წისქვილი დარიალის ხეობაში და მეორე—ხიდი, თერგის უფსკრულზედ გადებული. პირველი იყო ქოხი მიკუნჭული უზარმაზარ კლდის ძირში თავის ბანითა და ჩარდახით, რომლის ქვეშაც იდო წისქვილის ბორბალი. გვერდზედ წისქვილის დიდი თვალი იყო გამართული, რომელზედაც გადმოდებული იყო ღარი კლდიდან გადმომჩქეფ წყლისათვის. ქოხი შიგნიდან მორთული იყო ხალიჩებით, ჯეჯიმებით და ფარჩებით, სადაც ქართულ კაბაში გამოწყობილი ქართველი ქალი ჰყიდდა პროგრამებს და ყვავილებს. მეორე კიოსკი—ხიდი ამართული იყო პირველის პირდაპირ. ამ ორ კიოსკს აერთებდა ერთნაირი ფარდა, რომელზედაც დახატული იყო კავკასიონის მთები. ელექტრონის შუქზედ ეს ნახატ ნაშენები საუცხოვო იყო. შემდეგი დარბაზი—კარავი—მორთული იყო ხალიჩებით, ფარჩებით, ოქროთ ნაკერ აბრეშუმის საფენებით. ასეთივე კარავი იყო შემდეგი დარბაზი, სადაც იყიდებოდა ხილეულობა. კიოსკების შუა მაღლობებზედ გამართათ ოდეკოლონის შადრევნები, საიდანაც ჩქეფდა უხვად ოდეკოლონი. შემოსავალი კარებები და კიბეები მორთული იყო ხალიჩებითა და მცენარეულობით.

კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ გამოჩენილი მსახიობნი ქალნი და კაცნი მოსკოვის დრამატიულ და საოპერო სცენებისა. ტფილისის საზოგადოების ნაცნობი ქ-ნი პეტროვა-ზვანცევა აქაურმა საზოგადოებამ დიდის აღტაცებით მიიღო. არა ნაკლების აღტაცებით დაუხვდა იგი სახელოვან მსახიობს მოსკოვის სამხატვრო თეატრისას ბ-ნ კაჩალოვს. ძლიერ კარგად მიიღო საზოგადოებამ ქართველი მომღერალი ბ-ნი ეგლასიშვილი. მან შეასრულა „ერთხელ ვიხილე ძილში სიზმარი“, საზოგადოებას მოეწონა და გაამეორებინა. ბ-ნნი ალენინა, ტრუბინი, სევაროჟანსკი,—ყველანი საზოგადოებამ უხვის ტაშის ცემით დააჯილდოვა.

ქართულ სიმღერებს ასრულებდა ხორო, უმეტესად რუს-სტუდენტებისაგან შემდგარი. დირიჟორობდა ბ-ნი დ. არაყიშვილი. ყველა მომღერალ ქალს მიართვეს მშვენიერი დიდი თაიგული, მამაკაცებს კი დიდი დაფნის გვირგვინები. ბოლოს გაიმართა ესტრადაზე ლეკური. იცეკვეს ქალებმა ქართულ კაბებში, ხოლო ვაჟებმა—ჩოხა-ახალუხში.

საღამოს დიასახლისად იყო თავად ალექსანდრე სუმბათაშვილის მეუღლე. დიდის მადლობის ღირსია თავ. სუმბათაშვილი ამ საღამოს გამართვისათვის. სასურველია, მოსკოვის ქართველმა სტუდენტობამ ცოტაოდენი ფული გადასდოს ქართულის ტანისამოსის შესაძენად, რომ მუდამ ჟამ თხოვნა აღარ მოუხდეს. Al.

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

8 დეკემბერი

ტოკიო, 6 დეკემბერი. კათოლიკეთა აქაურ ეკკლესიაში ჯვარი დაიწერეს გერმანიის საელჩოს წევრმა გრაფ გაცფელდ-ტრახტენბერგმა და ბერლინში ელჩად ნამყოფის ვიკონტ აოკის ქალიშვილმა.

ბერნი. შვეიცარიის კავშირის საბჭომ წარუდგინა საერთო კრებას ხელშეკრულობა სამედიატორო სასამართლოს შესახებ საერთაშორისო საქმეების გამო სხვა-და-სხვა სახელმწიფოებთან.

პარიზი. საინტენდანტო აფიცრად ყოფილი პარიზში, დოტრიში, დაინიშნა მე-7 კორპუსის შტაბის განკარგულებაში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 9 დეკემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	[illegible]3,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,50
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	92½
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურც. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89⅛
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	425
5% მეორე შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1866 წ.	318
5% გირ. მოგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	266½
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბანკის საკრ. ზოგ.	—
5% გირ. ფურც. [illegible]ილ. ს.-მამ. ბანკ	99½
4½% გირაგ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	87⅛
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	238

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო საშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 53 წ. (ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. ხასაბლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ეკატერინოსლავის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 1[illegible]
   ღია არის დილით 1[illegible]—2 საათ.
   „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქ-ნა, ურ[illegible]ლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს მგგ[illegible] ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტ[illegible]ისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელ[illegible]მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქ[illegible], სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და გუჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში 13 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლოვლიოვისა.

განცხადებანი

მაღაზია ტფილისში

კ. დ. კობახიძისა

(შუა-ბაზარში, სოლომონოვის ქუჩის კუთხეში).

მიღებულია დიდ-ძალი საეკკლესიო ნივთები, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვალეულობა. მსურველს გაეგზავნება საქონელი ფას დადებითაც, მხოლოდ უნდა გამოგზავნოს მანეთზე 15 კაპ. ბეთ. მღვდლებსაც გაეგზავნებათ უბეოდ, მხოლოდ წერილი უნდა იყოს შემოწმებული საეკკლესიო ბეჭედით. საქონელი გაეგზავნებათ იაფ-ფასათ. (20—5.—12)

აფხანაურის ამერიკულ ვაზის სანერგე

მ. ა. ანანოვისა

იყიდება ამერიკული ვაზები Riparia და Rupestris, აგრეთვე დამყნილი ადგილობრივ და ფრანგულ ჯიშის ვაზები.

ადრესი: „Ст. Ріонъ З. Ж. Д“. პირველ დეკემბრიდან: მიხრან ალექსანდრეს ძე ანანოვს.
(6—395—2)

ახალი გახსნილი

სასტუმრო არკადია ნომრებით

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქროს მჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უასმელებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და [illegible] აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილით 5—12 ს. საღ. (88—52—78)

დაიბეჭდა და ისყიდება

კალენდარი „ცოდნა“

◆ თითო ღირს ორ შაურათ ◆

ვინც ერთბაშად ასზე მეტს იყიდის, დაეთმობა ექვს-ექვს კაპეიკათ.

შოთა რუსთაველის

დიდი სურათი

დაიბეჭდა ფოტოტიპიით [illegible] მთელს თაბახზე

◆ ღირს ათ შაურათ ◆

ვინც ათს ერთბაშად ნაღდზე იყიდის, დაეთმობა ორ-ორ აბაზათ და ვინც ოცზე მეტს—35 კაპ.

ფოსტით მისამართი: Тифлисъ Книжн. магазинъ „Цодна“.

ხოსიკო მერკვილაძე. (12—5)

გამოვიდა ქართული წიგნების გამავრცელებლის

„კ ა ვ შ ი რ ი ს“

განმარტებითი წიგნაკი (კატალოგი).

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს წიგნების გავრცელებაში, დაეთმობა ჩვენის გაგზავნით 30% და თუ თითონ წაიღებენ—40%. მიმართეთ „კავშირის“ მოთავეს ივანე პავლეს-ძე როსტომაშვილს (г. Тифлисъ, Туман. пер. 38). 30%-ის დაკლებითვე „კავშირის“ წიგნები გაიყიდება აგრეთვე მიხეილ ცაგარლის მაღაზიაში (წიგნების იარმუკაზე), ხოლო კვირაობით—40%-ის დაკლებით.
(5—398—2)

ტფილისში ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე მსწრაფლ, კარგათ და დროზე მზადდება. ფასები ძალიან ზომიერია. ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—8)



СѢДЕЛЬН, СПЕЦІЯЛЬН

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი ავლაბ[illegible]ვისა, № 92, სახაზინო ხიდის ახლოს. (წ.—176—90)

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა

აჯამეთის მამულში იყიდება:

1) დარჩეული ნამყენი ადგილობრივის და ევროპიულის ჯიშისა,

2) ამერიკულ ვაზის ლერწი სხვა და სხვა ჯიშისა: Rupestris mont., Riparia gl. და Ripariax Rupestris 101^{14}.

3) ფესვიანი ნერგები ამერიკულ ჯიშის ვაზებისა.

ადრესი: Ст. Аджаметы З. К. Ж. Д. Управляющему имѣніемъ А. М. Татевосяну. (15—10)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—მოსე ჯანაშვილისა	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	5[illegible]
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	2[illegible]
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
ითვლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	2[illegible]
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	8[illegible]
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	[illegible]
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ჯანჯღავასი	1	—

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მისის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის [illegible] ქუჩ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნება.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000) ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მაინც [illegible]გად აჩვენოს, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და გრეთვე სავერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ქონება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, ვისთვისაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ: სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავალო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების გამგეობა იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა ტფილის'ია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—54),

Дозволено цензурою, 8 декабря 1904 г.

სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—ბისა“

Электроп. „Груз. Изд. Т—ва.